ISSN 1987-5355
#47
2013
November,
December

# STYLE

ARCHITECTURE INTERIOR DESIGN






სარეკლამო გვერდი


BLOOMSBURY
www.bagnodesign.co.uk

AAG

Association of Architects of Georgia

საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია

www.archias.ge

**გამომცემელი** - **საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია** და დიმიტრი მოსულიშვილი

**რედაქტორი** - ნინო ლაღიძე

**ინფორმაცია** - ნინო ლაღიძე, ბეჟან ზეიკიძე.

**თარგმანი** - ნატა ქურთანიძე

**კომპიუტერული დიზაინი** - თამაზ ჩხაიძე

**დიზაინი** - გია ნოზაძე

**რეკლამა** - შ.პ.ს. სტილი, დირექტორი ეკა ჯავახიშვილი

**PUBLISHER - ASSOCIATION OF ARCHITECTS OF GEORGIA** & Dimitri Mosulishvili

**EDITOR -** Nino Laghidze

**INFORMATION -** Nino Laghidze, Bezhan Zeikidze.

**TRANSLATION -** Nata Kurtanidze

**COMPUTER GRAPHIC -** Tamaz Chkhaidze

**DESIGN** - Gia Nozadze

**ADVERTISEMENT -** STYLE Ltd. Director Eka Javakhishvili

0160 თბილისი, შარტავას ქ.#35/37

ტელ/ფაქსი: 237-52-97. მობ: 593 42-74-73; 577 44-86-00

35/37 Shartava Str., 0160 Tbilisi, Georgia.

Tel/fax: (+995 32) 237-52 97

Mob: (+995 593) 42-74-73; (+995 577) 44-86-00,

http://www.archias.ge

http://www.archiaward.com

E-mail: laghidze.n@gmail.com

nino@style-magazine.com.ge

**სარეკლამო ტექსტის შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს**

## არქიტექტორებისა და დიზაინერების საყურადღებოდ!

არქიტექტორთა კლუბი და ჟურნალი "სტილი" კვლავ აგრძელებს თქვენთან თანამშრომლობას.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენს მიერ რეალიზებული არქიტექტურულ-დიზაინერული პროექტები. მათ შორის საუკეთესოები განთავსებული იქნება ჟურნალი "სტილის" მომდევნო ნომრებში, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.

რედაქცია იტოვებს უფლებას გაცნობოთ მასალის მომზადებისა და პუბლიკაციისათვის აუცილებელი პირობა - ჟურნალში გამოსაქვეყნებელი ობიექტი წარმოდგენილი იქნას მისი ამსახველი ფოტო-მასალის მაღალმხატვრული ხარისხით - ავტორმა უზრუნველყოს ობიექტის პროფესიული ფოტოგადაღება.

დაზუსტდეს თანაავტორთა ვინაობა!




**Collection Loop.**

LUSSONI
DESIGN & DECOR ACCESSORIES
ლუსონი

არქიტექტურის მეორე საერთაშორისო ფესტივალი
Second International Architectural Festival

"საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციის" ეგიდით, „არქიტექტორთა კლუბის" და ჟურნალი „STYLE"-ს მხარდაჭერით ტარდება თბილისის მეორე საერთაშორისო არქიტექტურის ფესტივალი

23-24 ნოემბერი

ფესტივალის მიზანია საუკეთესო პროექტების წარმოჩენა და იმ არქიტექტორებისა თუ დიზაინერების დაფიქსირება, რომელთაც თავისი წვლილი შეაქვთ არქიტექტურის განვითარების საქმეში.

წელს, პირველად **არქიტექტურის მეორე საერთაშორისო ფესტივალის პარალელურად და მასსთან ალიანსში ტარდება** თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის, კერძოდ, **მედია ხელოვნების ფაკულტეტის** (არქიტექტურული ფესტივალის მხარდამჭერი) და ფლორენციის უნივერსიტეტის - Degli studi di Firenze - არქიტექტურის დეპარტამენტის ერთობლივი პროექტი - ფესტივალი „ხარისხი და პროფესია" (18-24 ნოემბერი)

**არქიტექტურის მეორე საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში (23-24 ნოემბერი):**

**2013 წლის 23 ნოემბერს,**
მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის ცენტრში - "მუზა", 13:00 საათზე, **გაიხსნება არქიტექტურისა და დიზაინის საერთაშორისო გამოფენა. გამოფენაში მონაწილეობას იღებენ, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი არქიტექტორები და დიზაინერები, აგრეთვე უმაღლესი არქიტექტურული სკოლების სტუდენტები.**

**გამოფენის სივრცეში (23 ნოემბერს) პროფესიონალები (არქიტექტორები, დიზაინერები, სამშენებლო კომპანიები) ჩაატარებენ სემინარებს, მასტერ-კლასებს არქიტექტურისა და დიზაინის თემებზე.**

**2013 წლის 24 ნოემბერს**
სასტუმროს "რედისონ ბლუ", საპრეზენტაციო დარბაზში, 17:00 საათზე
**გაიმართება მე-8-ე საერთაშორისო კონკურსში - "არქიტექტურული პრემია 2013" - გამოვლენილი საუკეთესო არქიტექტურული და დიზაინერული ნამუშევრების დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი**

- საერთაშორისო კონკურსი "არქიტექტურული პრემია 2013" საცხოვრებელი თუ საზოგადოებრივი სივრცის, შენობების, ინტერიერის და დიზაინის სფეროს მოიცავს.
- **საერთაშორისო კონკურსი 2006 წლიდან ტარდება არქიტექტურისა და დიზაინის სფეროში მოღვაწე პროფესიონალთათვის** (http://www.archiaward.com/)
- საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობისათვის განიხილება რეალიზებული და სარეალიზაციო პროექტები და იდეები.

**საერთაშორისო კონკურსზე განიხილება ნამუშევრები შემდეგი ნომინაციების მიხედვით:**
- **ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი** (რეალიზებული)
- **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ან კომპლექსი** (რეალიზებული)
- **საცხოვრებელი ინტერიერი** (რეალიზებული)
- **საზოგადოებრივი ნაგებობა** (რეალიზებული)
- **საზოგადოებრივი ინტერიერი** (რეალიზებული)
- **რესტავრაცია-რეკონსტრუქცია** (რეალიზებული)
- **საპარკო არქიტექტურა** (რეალიზებული)
- **სტუდენტური პროექტი**
- **არქიტექტურული პროექტები**
- **ინტერიერი (პროექტი)**
- **საკულტო ნაგებობები (კონკურსგარეშე მონაწილე)**

**ინფორმაცია ჩვენი საქმიანობის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ვებ გვერდზე:**
http://www.archias.ge
http://www.archiaward.com

Shower and Soul



HUPPE

LUSSONI
DESIGN & DECOR ACCESSORIES
ლუსონი

# AAG

**საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია შეიქმნა:**

- პროფესიონალური ურთიერთობებისათვის;
- ქალაქმშენებლობის, არქიტექტურის, დიზაინი სფეროში არსებული პრობლემების განსახილველად და გადასაჭრელად;
- ასოციაციის წევრთა ბიზნესის ხმარდასაჭერად;
- არქიტექტორთა საერთაშორისო ფესტივალების, საერთაშორისო კონკურსების - წარმატებით ჩასატარებლად;
- „არქიტექტორთა კლუბის", ჟურნალი "სტილის" პოპულარიზაციისათვის.

საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია - არქიტექტორების და დიზაინერების გაერთიანება - შესაძლებლობას მისცემს პროფესიონალებს განიხილონ არქიტექტურის და მშენებლობის სფეროში არსებული პრობლემები, სიახლეები, პროექტები, ნოვატორული წინადადებები, ჩაატარონ ახალი სამშენებლო ტექნოლოგიების, დიზაინერული თუ ფურნიტურის კომპანიების პრეზენტაციები.

**„საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციის" სტრატეგიები:**

- მაღალგანვითარებული, დახვეწილი, ერთიანი, თვითრეგულირებადი, პროფესიონალური ორგანიზაციის ჩამოყალიბება არქიტექტურის და სამშენებლო ბაზარზე;
- არქიტექტურისა და მშენებლობის განვითარების ტენდენციების შესახებ ასოციაციის წევრების ინფორმირება;
- ასოციაციის წევრებს შორის ურთიერთობის მექანიზმების ფორმირება;
- ასოციაციის წევრების საქმიანობისთვის პროფესიონალური სტანდარტების შემუშავება;
- ასოციაციის წევრთა სერთიფიცირებისთვის ხელის შეწყობა;
- წვლილის შეტანა ასოციაციის წევრების ბიზნეს ზრდასა და კეთილდღეობაში;
- ასოციაციის წევრების ინტერესების და უფლებების დაცვა, რჩევის მიცემა, დატრეინინგება, დახმარება, მხარის დაჭერა;
- ასოციაციის წევრებისთვის პროფესიული ზრდის ხელშეწყობა;
- ასოციაციის წევრების ინტეგრაცია არქიტექტურის და მშენებლობის პროფესიონალურ სფეროში;
- საერთო პრობლემების გადაწყვეტა; რეკომენდაციების და პროგრამების შემუშავება არქიტექტურისა და სამშენებლო ბაზრის განვითარებისთვის;
- ასოციაციის წევრებს შორის კონსულტაციების და ინფორმაციის გაცვლა მიმდინარე ტექნოლოგიებთან დაკავშირებით, არქიტექტურის და სამშენებლო ბაზარზე პოზიციების შესახებ;
- ასოციაციის წევრების ინტერესების დაცვა და წარმოჩენა საკანონმდებლო, აღმასრულებელ თუ მუნიციპალურ სტრუქტურებში;
- ქვეყნის არქიტექტურის და სამშენებლო საქმიანობის სრულყოფისთვის და ერთიანი მაღალესთეტიკური ქალაქდაგეგმარებითი კრიტერიუმების დამაკმაყოფილებელი, კეთილმოწყობილი ქალაქური გარემოს ჩამოყალიბებისთვის ხელის შეწყობა;
- საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ნაციონალური სტანდარტების შემუშავება;
- პროფესიონალთა პრესტიჟის განმტკიცება; ასოციაციის წევრთა გაზრდა.

**Association of Architects of Georgia**

In 2011 STYLE Magazine and Architectural Club Ltd established Association of Architects of Georgia (Noncommercial (non-governmental) Legal the person).

Association of Architects of Georgia - a union of architects and designers - provides the professionals with an opportunity to discuss ongoing architectural and construction issues and news, projects and innovations introduced by their colleagues and to arrange presentations of new construction technologies, services and products offered by design or furniture companies.

Association of Architects of Georgia was established with the following goals:

- to foster professional relationships;
- to enable discussion and solving of different issues related to urban development, architecture and design;
- to support professional activities of Association members;
- to promote STYLE Magazine and diversify the range of its publications;
- to ensure successful development of international competitions - such as Architectural Award - organized under the auspices of STYLE Magazine;
- to provide Association members with an informal but presentable social environment.

Every year, STYLE organizes an international exhibition Architectural Award, covering such nominations as single-family residence, apartment block / residential complex, public construction, residential interior, public interior, reconstruction project, etc. (detailed information about this competition can be found at http://www.archiaward.com)

In 2012, Association of Architects of Georgia, Architects' Club and STYLE Magazine jointly organized the first Georgia-based International Architecture Festival in conjunction with the already traditional international architectural competition Architectural Award 2012.

We hope you find the above noteworthy and look forward to your comments regarding cooperation opportunities.

Thank you very much in advance.


**დაინტერესების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:**

შარტავას ქუჩა №35/37, 0160, თბილისი. ტელ./ფაქსი: +995 32 237 52 97. მობ: +995 593 42 74 73.

ელ-ფოსტა: laghidze.n@gmail.com http://www.archias.ge http://www.archiaward.com

Contacts: 35/37 Shartava street, 0160, Tbilisi, Georgia. Tel/Fax: +995 32 237 52 97. Cell: +995 593 42 74 73

E-mail: laghidze.n@gmail.com http://www.archias.ge http://www.archiaward.com

GEBERIT

NOBILI
The Best Technology for Water

stella

HÜPPE
SHOWER AND SOUL

DURAVIT

MARAZZI

PAMESA
CERAMICA

GROHE
ENJOY WATER

Exclusive in Lussoni

LUSSONI
DESIGN & DECOR ACCESSORIES
ლუსონი


www.archias.ge
AAG
STYLE
www.archias.ge
593 427 473



1. არქიტექტურა
2. მშენებლობა
3. დიზაინი
4. ავეჯი
5. სამზარეულოები
6. ტექნიკა
7. განათებები
8. აქსესუარები
უმაღლესი ხარისხი პროგრესული დიზაინისთვის...
ტელ: 2 38 91 92   2 38 44 33   www.saba.ge


საბა SABA

www.archias.ge



Architectural
club

e-mail: laghidze.n@gmail.com

Tel./Fax. +995 32 2375 297
Mob. +995 593 427 473


CAPAROL
კარბონის დათბუნების სისტემა
თბილი. ლამაზი.
მედეგი.
CARBON PARTNER

# ART DECOR CENTER

www.art-decor.ge e-mail: info@art-decor.ge



Made in Italy OIKOS

დეკორატიული
საღებავები და ბათქაშები
ინტერიერისა და ექსტერიერისთვის





BANG & OLUFSEN
2 38 91 92
For people with
For People with high ambitions.
For People who believe that creating is living...


profilitec
2 38 91 92
2 38 44 33
www.saba.ge


BERLONI
სამზარეულოს ავეჯი იტალიიდან

# www. archias.ge




e-mail: laghidze.n@gmail.com

„არქიტექტორთა კლუბის“ და ჟურნალი STYLE -ს ეგიდით გამოიცა წიგნი - "საქართველოს არქიტექტურა & თანამედროვე ქართველი არქიტექტორები". გამოცემა გაყიდვაშია თბილისის წიგნის მაღაზიებში.

წიგნის - "საქართველოს არქიტექტურა & თანამედროვე ქართველი არქიტექტორები" - გამოცემა, პროექტის პირველი ეტაპია.

დაწყებულია წიგნის II ნაწილზე მუშაობა. დაგეგმილი გვაქვს, იგი, კვლავ საინტერე-სოდ განვავრცოდ, მითუმეტეს, რომ ინტერე-სი პროფესიონალების მხრიდან მზარდია.

დაგვიკავშირდით მისამართზე:
შარტავას ქ. 35/37
ტელ./ფაქსი: +995 32 237 52 97.
მობ: +995 593 42 74 73
E-mail: laghidze.n@gmail.com
www. archias.ge

“Georgian Architecture & Contemporary Georgian Architects” - Book

Project organizers: STYLE Magazine, Architects’ Club

“Georgian Architecture & Contemporary Georgian Architects” is only the beginning of our project. We started work on the second volume of the book, in which we hope to further explore the past and present of Georgian art, especially considering that the professionals already start to show increasing interest toward our activity.

please contact us at the following address:
35/37 Shartava Street, Tbilisi, Georgia;
Tel/fax: +995 32-2375297
Mobile: +995 593-427473
E-mail: laghidze.n@gmail.com
www. archias.ge

Tel/Fax.: +995 32 2375 297     Mob. +995 593 427 473


L'OFFICINA

# L'OFFICINA





REMOVE WHAT IS UNNECESSARY, WHAT IS IN EXCESS, WHATEVER DISTRACTS THE ATTENTION FROM THE ESSENCE OF THINGS. ONLY WHAT IS NECESSARY REMAINS, THE ESSENTIAL SHAPE THAT CARVES ITS OWN CHARACTER, SOLID AND ALIVE IN THE PRESENT.

L'OFFICINA SRL
VIA ALDO MORO, [illegible]
[illegible] ITALY
TEL. [illegible]
FAX [illegible]
WWW.LOFFICINAHOMEPROJECT.COM
INFO@LOFFICINAHOMEPROJECT.IT

SALES AREA MANAGER
[illegible]
[illegible]






L'OFFICINA

# სარჩევი
# Content






**რეკონსტრუქცია**
**RECONSTRUCTION**

ალავერდის მონასტრის რეაბილიტაცია
**Alaverdi Monastery Rehabilitation** 32



ფოთის ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარი
**The Cathedral of Saint Mary in Poti** 36



ფუნიკულიორის ზედა სადგურის და რესტორნის რეკონსტრუქცია
**Funicular Upper-station and Restaurant Reconstruction in Tbilisi** 40



**სახლი**
**HOUSE**

ქართული ღვინის პალატა
**The Georgian Chamber of Wine** 44



ქართული სახლი - პირველი უმაღლესი კლასის რესტორანი საქართველოში
**Georgian house First - HIGH class restaurant in Georgia** 48



ახალი საცხოვრებელი კომპლექსი თბილისში
**New Residential Complex in Tbilisi** 52



ბოჰემა
**Bohema** 56



სამედიცინო ცენტრი რუსთავში
**Medical center in Rustavi** 60



ფაზენდა
**Fazenda** 62



**ინტერიერი**
**INTERIOR**

ვენდისი
**WENDY'S** 66





არქიტექტურული
განათება
DELTALIGHT®
ახალი ნათება
www.newlight.ge | 995 32 596 596

# სარჩევი
# Content






ინტერიერის ორიენტირი
Something stupid about interiors 70



შოუ-რუმი მამაკაცებისთვის
Showroom for men 74



დემოკრატიული სტილი
Democratic Style 78



**უცხოური არქიტექტურა**
**FOREIGN ARCHITECTURE**

**Жилой комплекс - Бульвар фонтанов**
Residential Complex - Fountain Boulevard 80



ხანგრძლივი გამოცდილება და შემოქმედებითი მენეჯმენტი
Long experience and fresh mind Management 84



ფერი, სტილი, ფაქტურა და ხასიათი
Color, style, texture and identity 88



**გამოფენები**
**EXHIBITION**
ფერი და განათება არქიტექტურულ დიზაინში
Color And Lighting in Architectural Designn 94



**ვერნისაჟი**
**VERNISAGE**

ქვის ქანდაკება
Stone Sculpture 96



მოდით მთელი მსოფლიო ბუშტებით ავავსოთ!
Let's fill all the world with balloons! 98



პროექტი - "ეს საქართველოა"...
Project - "This is Georgia"... 100


JUNG
insta
"ჭკვიანი" სახლი


HERBOVITAL2
THEFANTASTICWAYWELIVE
www.jacuzzi.eu
www.devon-devon.com
33 Chavchavadze ave.
0179 Tbilisi Georgia
www.herbovital.eu
e-mail: info@herbovital2.com.ge

სარეკლამო




VERSACE
VANITAS

**URBAN-inspired bathroom solutions for the modern generation by BAGNODESIGN**

Perfect for creating an air of city living sophistication in any bathroom, BAGNODESIGN introduces URBAN, its latest collection of sanitaryware, furniture and brassware.

With all the hallmarks of quality, design and detail that you would expect from this international manufacturer of design-led bathroom solutions, URBAN from BAGNODESIGN brings the very latest Italian styling to the modern bathroom environment.

Featuring softened cubic lines that are ideal for modern city living, URBAN sanitaryware includes a wall-hung WC and a matching washbasin. The perfect accompaniment to the sanitaryware and providing an ideal storage solution in the smaller inner-city bathroom, is the range of furniture also available in the URBAN collection. With its handle-less design, the furniture is sleek and minimal whilst ensuring a clutter-free finish in the busiest of bathroom spaces and is available in a choice of five finishes for complete flexibility of design.

Completing the URBAN line-up is a new range of ultra-thin brassware, which is guaranteed to be a focal point of the contemporary bathroom. A full range of brassware is available in the collection, from basin, bath and bidet mixers through to concealed thermostatic shower mixers. Available in either chrome or stainless steel finish, this new brassware, as with the entire collection of URBAN bathroom solutions, brings an air of elegance and sophistication to the modern bathroom environment. For more information please log on to www.bagnodesign.co.uk.




URBAN Collection by BAGNODESIGN

**Nostalgic London living through the decades perfectly depicted with the BLOOMSBURY Collection by BAGNODESIGN**

BAGNODESIGN introduces the BLOOMSBURY Collection bringing luxury and opulence to the modern day, yet classically styled bathroom in true BAGNODESIGN fashion.







Giving designers free rein with their creativity, the BLOOMSBURY collection features standard washbasins which can be combined with a variety of different washstand options to suit the space available. This latest collection to join BAGNODESIGN's extensive selection of design-led bathroom solutions also includes a range of furniture made using the finest available marine grade ply with rich ebony veneer for a truly luxurious finish. The drawer units are trimmed with a sublime antique bronze lip, while the drawer interiors feature a soft leather trim and a jewellery tray. A variety of antique-style mirrors, meanwhile, provide the perfect finishing touch.



The sanitaryware and furniture in the BLOOMSBURYCollection is joined by three ranges of brassware, again offering designers complete flexibility. Each style of brassware evokes a different era of the London high-life perfect for injecting a sense of nostalgia and vintage chic to the classically styled bathroom. The brassware is available in a choice of three finishes of chrome, polished nickel or gold.



For a truly co-ordinated finish, the BLOOMSBURY Collection is completed with a comprehensive range of accessories designed to match perfectly with the sanitaryware, furniture and brassware.



BAGNODESIGN



The company, owned and managed by its British Board of Directors, employs over 250 members of staff and conducts business in more than 25 countries.

Driven by the client's need to 'Value Engineer' the BAGNODESIGN range of products has developed over recent years to become arguably the most comprehensive range of bathroom fixtures and fittings available in the market today. The range of products covers all categories, from accessories, mixers, sanitaryware, showering, furniture all the way to whirlpools and mirror TV's.

BAGNODESIGN products are sourced globally with strict quality control measures at each factory.

In July 201 2 BAGNODESIGN opened its new A & D Centre in Clerkenwell, London. Clerkenwell is home to over 2,000 Architects and Interior Designers, which accounts for around 20% of the UK's total and is helping establish London as the 'Capital of Design'. This new venture in the UK has the primary objective of servicing Architects and Interior Designers, working on international hospitality projects.

BAGNODESIGN has successfully supplied many prestigious projects throughout the world including the St Regis Hotel and Resort in Abu Dhabi, Viceroy Yas Marina Hotel, which straddles the Abu Dhabi F1 motor racing track, Kempinski and Raffles Hotels in Dubai, the JW Marriott Absheron Hotel in Baku and the newly open tallest hotel in the world JW Marriott Marquis in Dubai.

**Project References**



**JW Marriott Marquis, Dubai**



**Yas Marina Hotel, Abu Dhabi**



**Kempinski Hotel, Dubai**



**Four Seasons Anahita Resort, Mauritius**



# ალავერდის მონასტრის რეაბილიტაცია

ალავერდის მონასტერი რეგიონის მთავარ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს. 2007 წლის 24 ოქტომბრიდან ალავერდის მონასტერი შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში. ძეგლის განვითარება უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს. საამისოდ კვლევითი სამუშაოები 2005 წელს დაიწყო.

ალავერდის ხუროთმოძღვრულ კოპლექსს, საეპისკოპო ცენტრს, ხალხური რეწვის და კულტურულ-სამეცნიერო ღონისძიებების მოწყობის ადგილის დიდი პოტენციალი აქვს. ამიტომ, საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის გადაწყვეტილებითა და საქართველოს კულტურის სამინისტროს თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა ალავერდის მონასტრის რეაბილიტაციის ფართომასშტაბიანი პროგრამის განხორციელებას.

პროექტი მოიცავდა არა მხოლოდ ისტორიული ნაგებობების აღდგენა-შეკეთებას, არამედ ჰოლისტიკური მიდგომით კომპლექსის, როგორც ერთიანი ურბანულ-არქიტექტურული მთლიანობის განვითარებას. ამიტომ რეაბილიტაციის პროექტში გარდა ისტორიულ ნაგებობათა რესტავრაცია-რეაბილიტაციისა, მოქცეული იქნა მათი ადაპტაცია თანამედროვე ურბანულ ქსოვილში; შერჩეულ არეალებში, როგორც მიწისქვეშა, ასევე მიწისზედა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, რითაც ისტორიული ნაგებობები დაცულია სინესტისა და სხვა სახის დაზიანებებისაგან. ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ძველ იერს უბრუნებს, ზრდის მის მიმზიდველობას.

რეაბილიტაციის პროცესის პირველ ეტაპზე ეზოს ტერიტორია გაიწმინდა ნაყარი ქვაღორღისაგან და მცენარეული საფარისგან. არქეოლოგიური გათხრების შედეგად, გამოვლინდა XVI-XVII საუკუნეების აბანო. ძეგლის სარესტავრაციო ეტაპების გათვალისწინებით პირველ რიგში აღდგა სწორედ აბანო, შემდგომ კი ფეიქარხანისა და ეპისკოპოსის სასახლეები და მარანი (პროექტების ავტორი არქიტექტურული „სტუდია 4“). ალავერდის მარანი ძველი და ახალი თანამედროვე ტექნოლოგიების უნიკალური შერწყმაა. მასში თითქმის ოთხსაუკუნოვანი პაუზის შემდეგ პირველად დაიწურა ყურძენი. ღვინის სარდაფებში ინახება საფირმო ღვინოები "ალავერდის ტრადიციები" და "ბერების ღვინო 1011 წლიდან".

კომპლექსის რეაბილიტაციის მორიგი ეტაპი უკვე დაწყებულია. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დაგეგმილი პროექტის ფარგლებში, ალავერდის მიმდებარე ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები გრძელდება. სპეციალისტები მიმდინარე სამუშაოების დროს მნიშვნელოვან ისტორიულ აღმოჩენებს ვარაუდობენ. უკვე დასრულდა რამდენიმე წლის წინ ტაძრის აღმოსავლეთით გამოვლენილი აკლდამის რეკონსტრუქციაც.

*სარესტავრაციო-კვლევითი სამუშაოების პარალელურად, ალავერდის მონასტერში სხვადასხვა შინაარსის სამეცნიერო შეკრებები გაიმართა. მათგან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო: ალავერდის ეპარქიის ისტორიისადმი მიძღვნილი კონფერენცია (2006), მევენახეთა და მეღვინეთა საერთაშორისო კონგრესი (2010) და ქვევრის ღვინის I და II საერთაშორისო სიმპოზიუმები (2010, 2012). აქვე რეგულარულად ტარდება სემინარები და კონფერენციები გარემოს დაცვის საკითხებზე, ეპარქიის რეკრეაციულ ზონების პრობლემებზე და ა.შ. (ნანა ბურჭულაძე, საქართველოს ერ-*







*ოვნული მუზეუმის, შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების მთავარი კურატორი)*

2011 წლიდან მიმდინარეობს ალავერდის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება - თანამედროვე ინფრასტრუქტურისა და ახალი ტურისტული კომპონენტების შექმნა.

კახეთის ეს რეგიონი ბუნების და ისტორიული კულტურული მემკვიდრეობის კერაა, რომელსაც ალავერდის კომპლექსის შიგნით და მის ტერიტორიებს გარეთაც ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია. თანამედროვე ინფრასტრუქტურული ზონა, ასევე მონასტრის ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული მომსახურება, ადგილობრივი თუ უცხოელი ვიზიტორის მეტ დაინტერესებას გამოიწვევს.

მართლაც, ალავერდის მიმართ მოთხოვნილება გასულ წლებთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა. ინტერესთა სფეროსა და მოთხოვნილების სწრაფმა ზრდამ სხვადასხვა სახასიათო ტურების ორგანიზების საჭიროება გამოავლინა.

დაცული ტერიტორიების უმრავლესობა, გარდა შეუფასებელი ბუნებრივი ღირებულებისა, მოიცავს ქვეყნის უძველესი კულტურის კვალს. ალავერდი ამ მხრივ საკმაოდ მდიდარია: აქ ადამიანის ცივილიზაციის უძველესი კერებია; გარკვეული ნაწილი შეუსწავლელია და ამ მხრივ საკმაოდ დიდია საინტერესო აღმოჩენების პერსპექტივები.

ალავერდის კომპლექსის ტერიტორია ვიზიტორთათვის მიმზიდველია არა მხოლოდ ეკო-ტურისტული და რეკრეაციული თვალსაზრისით, არამედ საკმაოდ მნიშვნელოვანი ობიექტია სამეცნიერო კვლევების წარმოებისთვისაც. განსაკუთრებით მეფუტკრეობის მევენახეობის, თვალსაზრისით. ენტომოფაუნა საკმაოდ მრავალფეროვანია და ბევრ ახალ და იშვიათ სახეობას მოიცავს.

საქართველო, კერძოდ კი კახეთი ოდითგანვე განთქმულია სხვადასხვა ჯიშის ყურძნისგან საუკეთესო ღვინოების წარმოებით. მეტად საგულისხმოა აბბა ალავერდელი მიტროპოლიტის, მეუფე დავითის მიერ სახელწოდებული პროექტი - „ოქროს გზა" (ღვინის გზა), რომელიც სათავეს იღებს თბილისიდან და კახეთის რეგიონის გავლით - უჯარმა, სასადილო, გომბორი, ახალი შუამთა, ძველი შუამთა - „საინფორმაციო ცენტრი შუამთაში" - თელავამდე, იქიდან კი იყალთოს „ქვევრის სკოლის" და „ოჟიოს მარნის" (პროექტების ავტორი არქიტექტურული „სტუდია 4") მონახულებით ალავერდში დასრულდება. პროექტი „ოქროს გზა" დამუშავების პროცესშია და სამომავლოდ მნიშვნელოვნად წაადგება საქართველოში ღვინის ტურიზმის და ზოგადად ტურიზმის განვითარების პროცესს.

ალავერდის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, თანამედროვე ინფრასტრუქტურისა და ახალი ტურისტული კომპონენტების შექმნა, მეტად აწესრიგებს საზოგადოებასთან ურთიერთობას რაც კომპლექსის ადმინისტრაციისათვის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს.

საზოგადოებასთან ურთიერთობა ხელს უწყობს ინფრასტრუქტურის დაცული ტერიტორიების დადებითი იმიჯის ჩამოყალიბებას, ზრდის საზოგადოების ინფორმირებულობას და ცნობიერებას დაცული ტერიტორიების და მასში მიმდინარე პროცესების შესახებ, რაც განაპირობებს საზოგადოების ჩართულობას დაცული ტერიტორიების განვითარებაში და ზრდის ადმინისტრაციის მენეჯმენტის ეფექტურობას.

ალავერდის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურა მოწყობის სტადიაშია. მონასტრის მოპირდაპირედ აშენდა ერთსართულიანი კაფე "მაწვნის სახლი - ხავიწი". კაფეს გასწვრივ ასევე მოწყობილია პარკირების ადგილები ავტომობილებისათვის. გზის გასწვრივ აშენდა კეთილმოწყობილი საზოგადოებრივი W.C (პროექტების ავტორი არქიტექტურული „სტუდია 4")

კახეთის განვითარების სახელმწიფო და მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, მალე მონა-







სტრის კუთვნილ ტერიტორიაზე, გალავნის გარეთ, მოეწყობა სუვენირების მაღაზია, სასტუმრო, ღვინის სახლი (პროექტების ავტორი არქიტექტურული „სტუდია 4“);

მონასტრის განვითარებული ინფრასტრუქტურის შექმნა-ჩამოყალიბებისას, უკვე აშენებული ობიექტებით თუ პროექტის სტადიაში მყოფი მოცულობების ერთობლიობით არსებულ სამონასტრო კომპლექსის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოში, არ ირღვევა კომპლექსში განთავსებულ ნაგებობათა ვიზუალური აქცენტები - გაცოცხლებულიყო ისტორია - აღსადგენს დაბრუნებოდა პირვანდელი ფუნქცია, მხოლოდ ქართული ყოფისათვის დამახასიათებელი ტრადიცია. ამავე დროს, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე აუცილებელი გახდა გამართულიყო თანამედროვე დაცული ინფრასტრუქტურა ახალი ტექნოლოგიური ხაზით.

პროექტის ავტრები აცნობიერებენ, რომ ყოველივე ეს უცილობლივ გამოიწვევს კომპლექსის ისტორიული სივრცობრივი სტრუქტურის თანმიმდევრულ „გადაწყობას“, რომელიც შესაბამისად აისახება მიმდებარე ტერიტორიის გარეგნულ იერსახეზეც.

ამოცანების გადაწყვეტის სირთულეც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დღევანდელი ტექნოლოგიური პროცესებით ნაკარნახებმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა არ გამოეწვიოს ისტორიული კვალისა და ანაბეჭდის წაშლა. მონასტრისთვის განვითარებული ინფრასტრუქტურის პროექტზე მუშაობისას ავტორები სიფრთხილით მოეკიდნენ წარსულის დანატოვარს, მათ ისეთი თანამედროვე არქიტექტონული გადაწყვეტა მონახეს, რომლითაც წარსულისა და აწმყოს ერთიანი გამომხატველობითი სახეა დაფიქსირებული. მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე მოცულობათა ტრადიციული განთავსება თანამედროვე მენტალიტეტითაა ადაპტირებული და ნაგებობის მთლიანი მოცულობით-სივრცობრივი კომპოზიციის თვითმყოფადობაა გამოკვეთილი.

სამომავლოდ, ალავერდის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიის განვითარების პროექტის ფარგლებში შესაძლებელია ტურისტული ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის გაფართოება დაიგეგმოს, რომლის შემადგენლობაში შევა: ადმინისტრაციული შენობა და ვიზიტორთა ცენტრი, სადაც განხორციელდება ვიზიტორთა ინფორმაციული უზრუნველყოფა დაცული ტერიტორიის საშუალებებსა და ტურისტულ შეთავაზებებზე, ასევე ვიზიტორს საშუალება ექნება მეტი ინფორმაცია მიიღოს სამონასტრო კომპლექსის, მისი ისტორიის და არსებული ღირსშესანიშნაობების შესახებ.

*საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ამ უმნიშვნელოვანეს ძეგლთან ბოლო წლებში ოთხჯერ მომხდარმა წყალდიდობამ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა მონასტრის ნაგებობებს და მის მეურნეობას. 2011 წელს მეუფ დავითის ძალისხმევითა და ხელმძღვანელობით გარკვეული თავდაცვითი სამუშაოები ჩატარდა - მდინარეს კალაპოტი შეეცვალა და გალავნის მიმდებარე ტერიტორიაც გაფართოვდა, მაგრამ, როგორც 2013 წლის სტიქიის სიმძლავრემ აჩვენა, ეს ღონისძიებაც არ აღმოჩნდა საკმარისი და მოსალოდნელი კატასტროფისგან დასაზღვევად აუცილებელია მალევე მოხდეს ხოდაშნის ხევის მასშტაბური მოწესრიგება, რისი განხორციელებაც უკვე დაიგეგმა (ნანა ბურჭულაძე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების მთავარი კურატორი).*

საქართველოში, ძველად, ხშირ შემთხვევაში, ციხეებსა და სამონასტრო კომლექსებს დასაცავად ორმაგი გალავანი ჰქონდა გარშემორტყმული, რომლის არსებობაც გარედან მომსვლელისთვის ციხის შიგნით შეღწევის თავისებურ „წესრიგს“ აყალიბებდა. დღეს, მეორე გალავნის ფუნქციას თავისთავზე იღებს თანამედროვე განვითარებული ინფრასტრუქტურა, რომელიც ზედმიწევნით ზუსტად დაარეგულირებს მომლოცველის, ვიზიტორის თუ ტურისტის ქცევა-დამოკიდებულებას ალავერდის სამონასტრო კომპლექსის და მისი მიმდებარე ტერიტორიის მიმართ.

ნინო ლაღიძე







# Alaverdi Monastery Rehabilitation

Alaverdi Monastery, an outstanding symbol of Georgia's development, is included into the tentative list of UNESCO World Heritage. The architectural complex of Alaverdi has considerable potential for development as venue of folk arts&crafts festivals, cultural and scientific events. Considering the critical condition of this monument, Center of Architecture, Art and Restoration of the Patriarchy of Georgia and the Ministry of Culture of Georgia decided to launch a large rehabilitation program at this site.

Alaverdi rehabilitation project is underway at the time being. Parallel to archaeological and reconstruction activities, modern infrastructure and tourist facilities are developed in and around the Monastery.

The demand on Alaverdi considerably increased in the recent years. Rapid diversification of visitors' requirements and interests made it necessary to organize tours of different types.

The majority of protected territories in Georgia relate to the country's cultural heritage. Alaverdi is quite rich in this regard - it includes ancient traces of human civilization, some of which are not even studied yet, so there are good chances of interesting new discoveries there.

Alaverdi Complex is attractive not only from the point of view of eco-tourism and recreation, but also as an important scientific research site (especially in terms of apiculture and winegrowing). Local entomofauna is rather diverse and comprises many rare new species, while Kakheti region where Alaverdi is located was always famous for winemaking.

Abbe David, Metropolitan Bishop of Alaverdi, supervises development of a special project titled "Golden Route" (a.k.a. "Wine Route"), which takes start in Tbilisi, crosses different winemaking / winegrowing sites in Kakheti Region - Ujarma, Sasadilo, Gombori, Akhali Shuamta, Dzveli Shuamta, Telavi, "Kvevri School" and "Ojio Marani" in Ikalto (both designed by "Studio 4"), and finishes in Alaverdi. The project will importantly contribute to development of wine tourism in Georgia.

Implementation of tourist infrastructure projects in Alaverdi Monastery area - creation of modern infrastructure and new tourist components - facilitates public relations, which is an important priority of Alaverdi administration.

Tourist infrastructure in Alaverdi Monastery is in process of ongoing development. A single-level caf? "House of Matsoni - Khavitsi" was built across from the Monastery; the area across from the Monastery also contains a parking lot and a WC with relevant amenities (projects designed by "Studio 4").

Governmental Foundation for Development of Kakheti and the World Bank support the ongoing construction of a merchandise shop, a hotel and wine house (projects designed by "Studio 4").

Development of modern infrastructure within a historical monastery complex does not disrupt visual highlights of old monastery constructions and their priority objectives - to revive history, to return the primary, traditional function to restored facilities. At the same time, the new constructions provide access to modern technologies.

NINO LAGHIDZE












# ფოთის ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარი





საქართველოში, ფოთის საკათედრო ტაძარს, ანალოგი არ გაჩნია. არქიტექტურა ბიზანტიური სტილისაა. ფოთში ჩამოსული ტურისტებისთვის, ტაძარი, ერთ-ერთი ღირშესანიშნაობაა, მნახველს იზიდავს, თავისი ორიგინალური კონსტრუქციითა და ისტორიით.

1895 წლის 17 ივნისს რუსეთის იმპერატორმა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს ნება დართო, შექმნილიყო ფოთის საკათედრო ტაძრის მშენებლობის განსაკუთრებული კომიტეტი, რომლის ხელმძღვანელობა ნიკო ნიკოლაძეს დაევალა, რომელსაც ქართული არქიტექტურული სტილის ტაძრის აგება განუზრახავს. სათანადო პროექტიც შექმნილა. თუმცა, როგორც ირკვევა იგი რუსულმა მმართველობამ დაიწუნა. შემდეგ კი არქიტექტორბმა ზელენკომ და მარფელდიმ ახალი პროექტი შეიმუშავს, კონსტანტინეპოლში არსებული წმ. სოფიას ტაძრის მიხედვით. იგი წარმოადგენდა თითქმის მის ზუსტ ასლს, შემცირებული მასშტაბით. ტაძარი 2000 მლოცველზე იყო გათვალისწინებული.

1906 წლის 14 სექტემბერს, ჯვართამაღლების დღესასწაულზე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გიორგიმ (ალადაშვილი) ტაძრის საძირკველი საზეიმო ვითარებაში აკურთხა.

1907 წლის 22 მაისს, ტაძრის გუმბათზე ჯვარი აღუმართავთ. მისი მშენებლობა რვა თვის განმავლობაში მიმდინარეობდა – საკათედრო ტაძარს სამი ტრაპეზი ჰქონია, კანკელის ხატების ავტორია რუსეთის საიმპერატორო აკადემიის მხატვარი დუმიტრაშკო, რომელიც დასრულებულია 1908 წელს. კანკელის ჩრდილოეთის მხარის ხატები შესრულებული იყო ბერძნულ-ბიზანტიურ, სამხრეთი –ქართულ-ბიზანტიურ, ხოლო საშუალო რუსულ-ბიზანტიურ სტილში. ამ ხატებს შორის ორი წმ. ნინოსი და წმ. მეფე დავით აღმაშენებლისა იყო. 1932 წელს ქალაქ ფოთის კომუნისტურმა ხელისუფლებამ საკათედრო ტაძრის თეა-



















ტრად გადაკეთების გადაწყვეტილება მიიღო. დროთა განმავლობაში, რამდენჯერმე მოხდა შენობის რეკონსტრუქცია, რის შედეგადაც მისი იერსახე საკმაოდ შეილახა. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოს ეკლესიასა და თეატრის დასს შორის დავა დიდ ხანს გრძელდებოდა. საბოლოოდ, კი ფოთის საკრებულოს გადაწყვეტილებით, შენობა ეკლესიას გადასცეს. 2005 წლის ნოემბერში, ტაძრის გასაღები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს გადაეცა.

მალე ფოთის საკათედრო ტაძარში, სარესტავრაციო სამუშაოები დაიწყო. რესტავრაციის პროექტის ავტორები, არქიტექტორები – მამუკა ჩხაიძე და აკაკი ჩხაიძე არიან.

2013 წლის 12 მაისს, კვირაცხოვლობას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ფოთში ახლადგახსნილი ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარი აკურთხა. განახლებული ტაძარი 1000-მდე მლოცველს იტევს. ადგილობრივი თუ საზღვარგარეთელი ვიზიტორებისთვისაც ტაძარი ერთ-ერთი სასურველი სანახავია.



# The Cathedral of Saint Mary in Poti

AUTHORS OF RECONSTRUCTION PROJECT: MAMUKA CHKHAIDZE, AKAKI CHKHAIDZE









# ფუნიკულიორის ზედა სადგურის და რესტორნის რეკონსტრუქცია

პროექტის ავტორი: ზაქარია ქურდიანი

# Funicular Upper-station and Restaurant Reconstruction in Tbilisi

## ARCHITECTURAL PROJECT EXPLANATORY NOTE

**AUTHOR OF THE ARCHITECTURAL PROJECT: ZAKARIA KURDIANI**

### LOCATION AND DESCRIPTION OF THE BUILDING

Former building of the Mtatsminda-Restaurant is located on the upper-plateau of the Mtatsminda hill, which overlooks Tbilisi city. In 1938 based on the project of architects Zakaria and Nadejda Kurdiani the three-floor building was built, which replaced the old funicular station-building. The building became a symbol of Tbilisi. The building terrace has a spectacular panoramic view of the Georgia's capital city. The building itself is visible from almost all places in the city. The building is surrounded by the Mtatsminda park stretched over 60 ha, which is regarded to be of great historical and architectural value, the project of which was developed by Zakaria and Nadejda Kurdiani. The Mtatsminda upper-plateau was always considered as a beloved place of Tbilisi residents and tourists.

The building consists of four levels:

a. Basement floor - 2418 sq.m., which includes a tunnel of 700 sq.m.;

b. First floor - 1848 sq.m., with an inner-area of 1196 sq. m. and the terrace area of 652 sq.m.

c. Second floor - 1848 sq.m. with an inner-area of 1040 sq.m and the terrace are of 808 sq.m.

d. Third floor - 956 sq.m., with and inner-area of 438 sq.m. and the terrace area of 518 sq.m.

The total are of the building is 7070 sq.m. out of which inner-area is 5092 sq.m. and the area of terraces and balconies is 1978 sq.m. The overall volume of the building is 40 000 cubic meters.

The building represents a steady structure which consists of concrete columns, mixed concrete/wood floor tiles and concrete/stone walls.

The reconstruction project preserves the main historical function of the building as a funicular upper-station and the restaurant. The project takes into consideration modern requirements of functional zoning.

**a. The Basement Floor**

Before Reconstruction: On the basement level the storage facilities of the former restaurant were located, which were connected to the road by a tunnel.

After Reconstruction: The reconstruction project of the basement floor implies placement of the kitchen which













will be supplied with products through the tunnel. Storage facilities will be arranged for storing the delivered products.

In addition, on the basement floor are located offices for building management/operation staff and facilities for technical assistance of the building.

The main dishes prepared in the kitchen are delivered to the restaurant with two supporting elevators and in case of need by using the staircase. On other floors of the building additional smaller kitchen facilities are arranged the main function of which is finishing the dishes, serving them, etc.

In addition, a special entrance route is devoted for VIP guests, i.e. a 'porte-coch?re', where guests can arrive with vehicle through a tunnel and afterwards are able to access the building using an elevator, which is located in the main staircase.

**b. First Floor**

Before Reconstruction: On the first floor, as in the whole building the main interior elements of historical value, in particular capital columns and the handrail of the main staircase were in a normal condition and thus could be reconstructed. The ornaments were clearly perceivable, there were minor local damages which could be restored and renewed.

After Reconstruction: The historical function of the first floor is preserved: on the first floor as in the initial project the funicular upper-station and the main hall are located. Two thematic restaurants - meat restaurant and bread restaurant are added to the first floor.

**c. Second Floor**

Before Reconstruction: Main damages were present only on capitals and bases of the columns

After Reconstruction: The second floor is functionally divided in four parts, in particular:

1. Main hall of the restaurant is located in the central area of the second floor. On the west side of the main hall mezzanine is located where the wine tasting bar is established.

2. Lounge bar, which represents a space for relaxing, where various drinks are served.

3. Area, where removable partition walls are available, which enable a formation of isolated spaces. However, the space can be used without partition walls as a homogeneous space.

4. Terrace, historically most popular and pleasant place for the guests. On the terrace restaurant tables as well as soft furniture/seats are available.



**d. Third floor**

Before Reconstruction: On the third floor there were no major damages present either on the load-bearing walls or floor construction. The main element of historical value represents the unique form of the roofing (pergola), which was in a quite good condition and required reparation and renovation.

After Reconstruction: the third floor is dedicated to a banquet hall for various events (weddings, corporate events for government or private organizations, etc.).

The major changes performed in the scope of reconstruction will be removal of columns between the 14th and 17th axes, which results in the wholeness of the hall. For full exploitation of the available space the glazing of the open terrace is considered. The glazing is done inside of the terrace railing. In addition, temporary glass roofing for the open pergolas is arranges along the whole perimeter of the third floor terrace.

FIRST FLOOR PLAN



SECOND FLOOR PLAN



THIRD FLOOR PLAN









**e. Facade**

Before Reconstruction: The facade of the building had various local cracks and on the north side according to the 1989 reconstruction project the building activities were started. The facade required restoration and renovation.

After Reconstruction: The building facade preserves its historical state. In 21-22 columns the glass elevator is added, which serves the main hall/banquet room located on the third floor.

On the roof of the building technical facilities and boiler-room are built.

The graphical schemes and photo materials are presented, which show both, condition of the building before and after reconstruction.

As a result of the reconstruction project the building, which has a status of cultural property of national significance has underwent minor changes and, correspondingly, the author has preserved the initial, original state of the historical building.





# ქართული ღვინის პალატა



2013 წლის 27 ივლისს მცხეთაში „ქართული ღვინის პალატის“ გახსნის საზეიმო ცერემონიალი გაიმართა.

შენობის მოცულობის და მისი ინტერიერის პროექტის ავტორია, არქიტექტორი მარიკა ქურთიშვილი.

პალატას სხვადასხვა დატვირთვა აქვს და ოთხ სართულზე განთავსებულია:

- სარდაფში – მირიან მეფის მარანია - მიწაში ჩაფლული ქვევრებით, სადაც სტუმრებს საშუალება ექნებათ გაეცნონ, ტრადიციული კახური მეთოდით ღვინის დაყენების პროცესს, რომელსაც 8000 წლის უწყვეტი ისტორია აქვს.
- პირველ სართულზე – საკუთრივ პალატაა – აქ გამოცდილი სომელიეები ჩაატარებენ სპეციალურ დეგუსტაციებს და ტურისტებს ექნებათ საშუალება მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია ქართული ვაზის იშვიათი და ტრადიციული ჯიშების,აგრეთვე ნებისმიერი ქართული ღვინის შესახებ.











- მეორე სართულზე განთავსებულია ღვინის გურმანების რესტორანი, სადაც აქცენტი გაკეთდება სხვადასხვა ღვინის მოხმარების კულტურაზე. აქვეა თონე, სადაც საშუალება გექნებათ თვალი მიადევნოთ შოთი პურის ცხობის პროცესს.
- მესამე სართულზე განთავსებულია ვერანდა უნიკალური გადასახედით მცხეთის ისტორიულ უბანზე – სამთავროზე.

ქართული ღვინის პალატა ტურისტების კიდევ ერთი საყვარელი ადგილი გახდება მცხეთაში. აქვე ტურისტებს საშუალება ექნებათ შეუკვეთონ ექსკურსია კახური ტრადიციული მეღვინეობის კიდევ ერთ საინტერესო ობიექტზე „ველისციხის ვერანდაში,“ სადაც შეეძლებათ თავად გახდნენ ღვინის და ქართული ჭაჭის დაყენების, მოვლის და მოხმარების პროცესების მონაწილე. პროექტი ინვესტირებულია კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ მიერ.







# The Georgian Chamber of Wine



On July 27th, 2013 opened one more beautiful building in Mtskheta Town. Located in the heart of the downtown. The Georgian Chamber of Wine has been opened, the first of a kind in Georgia.

Author of project of this building is architect Marika Kurtishvili.

The ceremony of opening among the invited guests were persons of clergy, government officials, diplomats and partners from different countries. The Georgian Chamber of Wine has been designed for multiple purposes. In the four floors of building are:

In a Basement floor is Marani of King Mirian with kvevris, where guests will have the opportunity to get to know about the Kakhetian traditional methods of winemaking, best known for its 8000-years continuous history. In addition, guests have the possibility to take photos sitting on the stylized copy of throne of King Mirian and Queen Nana.











Groundfloor is the very place of Wine Chamber. Here experienced sommeliers will hold a wine tasting, master classes. Tourists will be able to get complete information about rare and classic traditional grape varieties of Georgia in different languages. Tasting room will be provided for other wine companies, and small businesses to present their products for free.

First floor. There is a gourmet restaurant, where the emphasis will be taken on wine consumers with different taste and cultural differences. Upon request belong the waiters you will be served by professional sommelier. It is a bakery next to the restaurant, where you can see the process of baking the traditional Georgian bread.

Second floor will delight you with unique veranda with spectacular view to Mtskheta Town and Jvari Monastery.











# ქართული სახლი - პირველი უმაღლესი კლასის რესტორანი საქართველოში



რესტორანმა ”ქართული სახლი“ საკუთარ თავში თავბრუდამხვევი ფუფუნება და შეუდარებელი სტუმართმოყვარეობა გააერთიანა, რითაც ჭეშმარიტ მარგალიტად იქცა თბილისის რესტორნებს შორის.

პროექტის ავტორები, არქიტექტორები მამუკა ჩხაიძე და აკაკი ჩხაიძე არიან.

გადალახავთ რა რესტორნის, ამ ულამაზესი შენობის ზღურბლს, და თქვენ საქართველოს აღიარებული არქიტექტორების მიერ შექმნილ განსაკუთრებულ სამყაროში აღმოჩნდებით. ინტერიერის შექმნისას - კლასიკური სტილი და ყველაზე ძვირფასი მასალებია გამოყენებული. ჭერს მიქელანჯელოს ცნობილი ნახატის ასლი - ”ადამის დაბადება” ფარავს, მოწყობილია განსაკუთრებული განათება, რომელსაც სვაროვსკის კრისტალებით შექმნილი ჭაღები ამშვენებს.





ფურნიტურა თუ სერვირება საუკეთესო ხარისხის მსოფლიო ეტალონებს შეესაბამება, ჭურჭელი მსოფლიო საუკეთესო ხუთეულში შედის.

მთავარი დარბაზი, რომელიც 300 დასაჯდომ ადგილზეა გათვლილი, შესანიშნავად შეეფერება გრანდიოზული ნადიმების გამართვას. თუ ღონისძიების ჩატარება ვიწრო ოჯახურ წრეში იგეგმება, მაშინ ამისთვის 80 პერსონაზე გათვლილ VI დარბაზია გათვალისწინებული. სარესტორნო კომპლექსებს ''ქართული სახლი'' და ''ტიფლისი'' - ხელოვნურად შექმნილი მხატვრული ქუჩა ჰყოფს, რომელზე გასეირნებაც ჭეშმარიტად სასიამოვნო განცდებს ბადებს.







# Georgian house First - HIGH class restaurant in Georgia

**LOCATION: TSABADZE STREET, TBILISI**
**PROJECT AUTHORS: MAMUKA CHKHAIDZE, AKAKI CHKHAIDZE**



















# ახალი საცხოვრებელი კომპლექსი თბილისში

თბილისის ცენტრში ახლახან მრავალბინიანი ელიტარული კომპლექსი აშენდა.

არქიტექტურული პროექტი დამუშავებულია საავტორო ჯგუფის მიერ შემდეგი შემადგენლობით:

პროექტის ავტორები: ირაკლი სვიმონიშვილი, ომარ ნაფეტვარიძე.

კონსტრუქტორი: ბ. ბატიაშვილი.

ქვაბულის გამაგრების პროექტი: კ. ოდიშვილი, გ. ყალაბეგაშვილი.

მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიას ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება პირველი საჯარო სკოლა, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჭიჭინაძის ქუჩა, ჩრდილო-დასავლეთიდან ლესია უკრაინკას ქუჩა. მიწის ნაკვეთის ფართი 3723 კვ.მ-ია. რელიეფის ვარდნა ლესია უკრაინკასა და ჭიჭინაძის ქუჩებზე რუსთაველის გამზირისაკენ საკმაოდ მნიშვნელოვანია, ამავე დროს სამშენებლო ტერიტორიაზე წინა წლებში დაწყებული მშენებლობისათვის ნაწილობრივ ამოღებულმა ქვაბულმა განაპირობა ნაკვეთის ათვისების ავტორების მიერ შემოთავაზებული წინადადება.

მიწისქვეშა ნაწილში 0.00-დან -9.00 ნიშნულამდე განთავსდა სამსართულიანი ავტოფარეხი, ხოლო მისი გადახურვა გამოყენებული იქნა ტერასად, რომელიც გარს უვლის საცხოვრებელ სახლს. ამავე დროს რელიეფის ვარდნამ საშუალება მისცა პროექტის ავტორებს უმტკივნეულოდ შეეთავსებინათ პირველი სკოლისათვის სპორტული დარბაზის აშენება, რაც ივალდებულა მენაშენემ.

საცხოვრებელი სახლის სადარბაზოებთან მისვლა გათვალისწინებულია შევჩენკოს ქუჩიდან შენობის ცენტრალურ ზონაში, რომელიც დაწეულია უკან წითელი ხაზიდან 11 მეტრით და ქმნის კურდონერს. ქუჩისა და ეზოს ნიშნულთა სხვაობის გამო გათვალისწინებულია ფართო საპარადო კიბეები და პანდუსები უნარშეზღუდულთათვის. შენობის ირგვლივ მოწყობილი ტერასა სამივე ქუჩიდან სადარბაზოსთან მისვლის შესაძლებლობას იძლევა.



ტერასა ოთხივე მხრიდან შემოსაზღვრულია ბაზალტის დეკორატიული მოაჯირით, რომლის ტუმბებზე განთავსებულია დეკორატიული ლამპიონები და ყვავილნარის ვაზონები, რაც აუმჯობესებს მიმდებარე ტერიტორიის ესთეტიურ მხარეს.

ავტოფარეხებში შესვლა ხდება ლესია უკ-







რაინკას ქუჩიდან პანდუსის საშუალებით. ავტოფარეხიდან მაცხოვრებლები სადარბაზოში ხვდებიან კიბეებით და ლიფტებით, რომლებიც სახანძრო უსაფრთხოებისთვის იზოლირებულია ტამბურებით. ორივე სადარბაზოში გათვალისწინებულია 24 საათიანი დაცვის მუშაკისთვის ოთახი საკუთარი სანკვანძით.

ბინების დაგეგმარებისთვის შეიქმნა საყრდენი გეგმა, რომელმაც განსაზღვრა შენობის პარამეტრები და ვერტიკალური კომუნიკაციები, (შეუბოლავი კიბის უჯრედი, ლიფტები, ვენტილაციის, კანალიზაციის, წყალსადენის დგარებისთვის შახტების და საერთოდ სველი წერტილების მდებარეობის დაფიქსირება). ამ საყრდენი გეგმის საფუძველზე ინდივიდუალურად დაპროექტდა ბინები მათთვის კუთვნილი ფართებისა და მოთხოვნების შესაბამისად. ყველა ბინისთვის დამახასიათებელია დიდი, დღის სამყოფი, ოთახი სამზარეულოსთან უშუალო კავშირით და საძინებელი ოთახები ინდივიდუალური სანკვანძებით და საგარდეროპოებით.

რაც შეეხება შენობის ფასადების, ზოგადად მისი იერსახის კონცეპტუალური გადაწყვეტას, უკვე ისტორიულად ჩამოყალიბებულმა რუსთაველის გამზირის მხატვრულ-არქიტექტურულმა სახემ, განაპირობა.

განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შეკეთდა და განახლდა გამზირის მარცხენა მხარეს მდებარე შენობების ფასადები, რომ აღარაფერი ითქვას ისეთ შენობებზე, როგორიცაა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე, პარლამენტის წინა შენობა, პირველი სკოლა, სასტუმრო „მარიოტ-თბილისი“, რუსთაველ-













ის თეატრი და მისი მიმდებარე შენობები ოპერის თეატრის ჩათვლით. ავტორების, აზრით შენობის არქიტექტურა, მოცემული სახით, უფრო მშვიდად, უპრეტენზიოდ ჩაეწერა, არსებულ გარემოში. აქ, ნამდვილად შემაწუხებელი იქნებოდა კონტრასტული, აგრესიული, ტექნიკური და მატერიალური რესურსებით ვერუზრუნველყოფილი ,,თანამედროვე'' მოცულობა. შენობის არქიტექტურული სახის გადაწყვეტა სიმშვიდისა და სიმყუდროვის ატმოსფეროს უქმნის არამარტო ამ სახლის ბინადართ, არამედ ქუჩაში მიმავალ ადამიანებსაც.

ფასადები მაღალხარისხოვანი და ძვირადღირებული მასალითაა დამუშავებული, კერძოდ, ცოკოლის სართულის მოპირკეთდა ბაზალტის ფლეთილი ფილებით, ნოლს ზედა ორი სართული სადაც განლაგდება საოფისე ფართები – თლილი ბაზალტის ფილებით.

საცხოვრებელი სართულები დამუშავდა რუსტირებული მაღალხარისხოვანი შელესვით, რომელიც შეიღება ღია ნაცრისფერით. მანსარდული სართული შეიმოსა ვერცხლისფერი ,,ქერეჭით'' (ე.წ ,,ჩეშუია'') ღიობების მოჩარჩოების ელემენტები და კარნიზები ჩამოისხა სპეციალური პლასტიკური მასისგან. აივნების დეკორატიული მოაჯირები დამზადდა სხმული მეტალისაგან. რაც შეეხება შენობის კონსტრუქციულ გადაწყვეტას - იგი აშენდა მონოლითური რკინა–ბეტონის კარკასით, ბადით 6,4მ x 6.4მ. საძირკვლის გადაწყვეტა - მონოლითური რკინა-ბეტონის ფილა, გადახურვები და კიბის მარშები კი მონილითური რკინა–ბეტონით.

მეტად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პროექტი, 2012 წელს, ლონდონში გამართულ საერთაშორისო კონკურსზე - International Quality Crown Award London 2012 - ოქროს სერთიფიკატით დაჯილდოვდა.



**ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:**

მიწის ნაკვეთის ფართი 3723 მ²

მოშენების ფართი 2036 მ²

**შენობის მოცულობა:**

მიწისქვეშა ნაწილი 27167,4 მ³

მიწისზედა ნაწილი 88322,1 მ³

**საოფისე-კომერციული ფართი** 4652,50 მ²

**ბინების ფართი** 17651,83 მ²

